

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типо-днѣ. Въ редакціи газ. „Дროбна“.

გაზეთის ფასი: თ. კა. წლი-სა—8 მან., ნ. ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპა; ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებში.

ფასი განცხადებულს: დღიური-დებით ასოზე—1 კაპ.; ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ.; ჩვეულებრივის ცი-ტერით—5 კაპ.; პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გა-სწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაბრათ

დღესასწაულის გამო, ხვალ, ხუთ-შაბათს გაზეთი არ გამოვა.

1 ნომერიდან ფლის დაშლამდე

„დროება“

ღირს ორ მანეთად

ხელის-მოწერა შეიძლება თუ ი-ლ ის ში: რალაქკოა შო, სერგიევს ქუჩა-ზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ აღ-რესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тип-маш. Въ редакціи газетъ „Дробна“.

განცხადება

მიხანილოვის რაიონის გზის სასწავ-ლებლის მკურნალებს რჩევა ამით აცხადებს, რომ ამ ნომერის 12-დგან ვიდრე 20-მდე მუდამ დღე დღის 10 საათიდან ნაშუადღვის 2 სა-თამდე სასწავლებლის სადგომში (კუხიაში, ვორონცოვის წყლის-პირა მუხაზე) იმება მისაღები მუხამენა-ბი იმ შვაწვილებისათვის, რომელ-ნიც ზამოსხენებულის შკოლაში მს-ვლას მოისურვებენ.

ფულს გაიხსნება მხოლოდ პირვე-ლი (მოსამზადებელი) კლასი.

სასწავლებელში მიიღებიან შვა-წვილები რუსის შვაწვილები შვა-ლა წოდებისა (აზნაური, გლეხი და სხვ.)

მოსამზადებელს კლასში მსვლის მსურველი უნდა იყოს არა-ნაკლებ 11 (თერთმეტი) წლისა და არა-მომავალი 17 (შვიდმეტი) წლისა. შვაწვილმა უნდა იცოდეს: საშვითო წერილიდან — უმთავრესი ლოცვები, რუსულის მნიდან — თავისუფლად წერა-კითხვა, არითმეტიკიდან — პირ-ველი ოთხი მოკვამება.

კანსიონარებს სასწავლებელი ჯერ არ მიიღებს.

ფასი სწავლისათვის წელიწადში ერთი თუხანია.

თხოვნა, მიღების თაობაზე, შკოლაში დასაბეჭდად უნდა იყოს

დაწერილი სასწავლებლის წამახე-დვლის სახელზე, რომელიც თვით ამ შკოლის სახლებში დგას; ამ თხო-ვნასთან ერთად უნდა წარმოადგი-ნონ შვაწვილის მებრძვის მოწმობა.

მოკლე ხანში შვაწვილებს მიეცე-მათ ღონის-ქიება საღილი თვითონ სასწავლებელში სვამონ იაზ ფასად.

(3-1)

საქართველო

ჩვენი ქალაქის რჩევა და გავრცელება

შევხოთ, დღიურში, მკითხველი ნახავს შენიშვნას, რომლიდანაც შეიტყობს, რომ, ერთი სულ უბრალო გარემოების წყალობით, ჩვენი ქალაქის ბამგეობას, ანუ უკეთ ქალაქის თავსა და რჩევას შუა ისეთი უკმაყოფილება მოხდა, რომ ქალაქის თავი უფ. შიფანი კინალამ იძულებული შეიქნა, რომ თავის თანამ-დებობისათვის თავი დაენებებინა.

საქმე იმაშია, რომ გასულ ორშაბათის სხდომაზე, 30 ოქტომბერს, როდესაც ზოგიერთ კერძო პირებისაგან ქალაქის მამულების მითვისებაზე იყო სჯა, უფ. ხმოვანი პლადათოვი ორჯერ გაეჩერებინა თავსმჯდომარეს, ორჯერ ეთქვა იმისთვის, რომ თქვენ არ გაძღვეთ სიტყვის უფლებას და თუ არ გაჩუმიდით, მე იძულებული შევიქნები, რომ სხდო-მა დაგხურო. მაგრამ ხსენებული ხმო-ვანი მესამედ წამომდგარიყო რალაცას სათქმელად და ამ დროს თავსმჯდომარე მოთმინებიდან გამოსულიყო და თავის მუქარი მართლაც ავსრულებინა: გამოე-ცხადებინა, კრებას ვხურო, ამდგარიყო და გამო-ულიყო კრებიდან.

აი ამ გარემოების თაობაზე ჩამო-ვარდა ლაპარაკი ქალაქის რჩევის გუ-შინდელს სხდომაზე. ქალაქის თავი თხოულობდა, რომ, რადგან ხმოვანმა უფ. ს. პ. პლადათოვმა დაარღვია კრე-ბის წესიერება, ამის გამო, ქალაქის წეს-ლების მე-ნმ მუხლის ძალით, ის უნდა დაისაჯოს შენიშვნის მიცემით და 3-7 დღემდე კრებიდან გამორიცხვითაო.

მთელმა რჩევამ თითქმის ერთ-ხმად გამოაცხადა უარი ქალაქის თავის ამ წინადადებაზე. შევლა ამბობდა, რომ მართალია, უფ. პლადათოვმა დაარღვია წესიერება, მაგრამ ეს დარღვევა ისეთი

არ იყო, რომ ამისთვის იმას რაიმე სასჯელი მიეცენოთ.

რასაკვირველია, ქალაქის თავს არ ეკანონიკა ამ გვარი გარდაწყვეტილება რჩევისა და გაცხარებულის, აღელვებუ-ლის ხმით გამოაცხადა, რომ ის წინაღ-მდეგია ამ განაჩენისა და იძულებულია ეს გარემოება უმაღლესს მთავრობას მოახსენოს.

ეს გახლავთ გუშინდელი „ისტორია“ ქალაქის რჩევისა.

პირველ ჩანდა უკმაყოფილება ქალაქის რჩევას და ბამგეობას შუა; ადრეც ხში-რად გვინახავს კინკლაობა ამ ორ უფ-ლებას შუა, კანონ-მდებელსა და აღმა-სრულებელ უფლებას შუა; მაგრამ ამ უკანასკნელმა უბრალო მიზეზისაგან წარმომდგარმა გარემოებამ ცხადია, აშ-კარად დაუმტკიცა ყველას, რომ ამით შორის ისეთი განხეთქილება ყოფილა, რომ, ცხადია, ამით აღარ შეუძლიანთ ერთისა და იმავე საქმის წაყვანა, ერთის საქმისათვის სამსახური.

ჩვენ არ ვიცით—რისთვის ემდურებან ეს ჩვენი რჩევა და ბამგეობა ერთმანეთს; არ ვიცით—რა მიზეზისაგან წარმოსდგა ამით შუა ეს განხეთქილება.

მაგრამ ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ არის ერთი ფინანსი, რომელიც ორი-ვეს—ბამგეობასაც და რჩევასაც თანა-სწორათ და ერთნაირად ემდურებს, რომელიც ორივეზედ ერთნაირს უკმაყო-ფილებას აცხადებს: ეს არის ამომრჩე-ვლები, ქალაქის საზოგადოება, მთელი ქალაქი მთილისი.

ეს ამომრჩეველები ორივეს მალე გა-აზნებენ, ორთავეს შესახებ გამოსთქმენ მალე თავის შეუფერებელს ჰაზრს. ჩვენ-ის ჰაზრით, ახლანდელ ქალაქის რჩევა-სა და ბამგეობის წევრებს არაფერი არა აქვთ ერთმანეთში დასამდურებელი და საუკმაყოფილო; თუ ვისმეს აქვს, აქვს ქალაქს, რომელიც მოტყუებული შეიქ-ნა თავის დანდობაში და იმედებში.

მომავალს ქრისტეშობისთვეში იქნება ახალი ამომრჩევა როგორც ქალაქის რჩევისა (ხმოვანებისა), აგრეთვე თვით ბამგეობის წევრებისა. ჩვენ დაწმუნე-ბული ვართ, რომ ერთხელ მოტყუებუ-ლი ამომრჩეველები აღარ დაენდობიან კიდევ თავიანთ ახლანდელ დებუტატებს და სულ თუ არა, მომეტებულს ნაწილს მაინც ახალ პირებს ამომრჩევენ ხმოვან-ებად და ეს ახალი ხმოვანებიც თავის მხრით ახალ წევრებს ამომრჩევენ ბამ-გეობაში...

ამას გარდა გასულს სხდომაზე კიდევ ერთი გარემოება გამოაშკარავდა ცხადია: ის, რომ გასული სამი წლის განმავლობაში, ე. ი. მას აქვთ, რაც ეს რჩევა და ბამგეობა დაარსდნენ, ხშირად მომხდარა იმ გვარი უწყესობა, როგორც მოახდინა უფ. ხმოვანმა პლადათოვმა 30 ღვინობისთვის სხდომაზე; ხშირად მომხდარა, რომ ხმოვანები ერთსა და იმავე სიტყვას ერთსა და იმავე საგანზე სამჯერ-ოთხჯერ იმეორებდნენ, ღეჯდნენ, ცოხნიდნენ თავიანთ ჰაზრს.

რისგან იყო ეს? იმისაგან, რომ ჩვენ ხმოვანები ხეირიანად ვერ ლაპარაკობენ რუსულად; იმისაგან, რომ მოკლე, მკაფიო სიტყვით იმათ ვერ გამოუთქვამთ, რაც გულზე აწევთ და რაც თავში აქვთ; თავში იქნება ჰაზრი აქვთ, მაგრამ ენა არ იციან, ვერ მოუხერხებიათ რიგიანად ლაპარაკი. აი აქედამ წარმოსდგება ხოლმე ის გამეორება და ღეჯა სიტყვისა, რამდენჯერმე დაბრუნება ერთი და იმავე საგნისაკენ და ამის გამო საქმეების განხილვის დაგვიანება; აქედამ წარმოსდგება, რომ სხდომისათვის ხშირად 12—15 საგანია განსახილველად დანიშნული, მაგრამ თითო სხდომაზე ორი-სამი საგნის მეტი ვერ გაურჩევიათ, ვერ გარდაუწყვეტიათ...

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი ახალი რჩევა ძალაქისა ამ დაბრკოლებასაც მოსპობს; რომ ის არ ითაკილებს, როდესაც ქართველი, რომელსაც არ ემარჯვება რუსულად ლაპარაკი, პირ-და-პირ თავის სამშობლო ქართულს ენაზედ გამოთქვამს თავის

ჰაზრს მოკლეთ, ცხადია და გასაგებად, და სომეხი სომხურად...

მაგრამ ყველა იმ მიზეზებზე, რომელნიც აბრკოლებენ ახლანდელ ძალაქის რჩევას და რომლის მოსპობის იმედიც მომავალი რჩევისაგან გვაქვს, შემდეგში მოვილაპარაკებთ.

ს. მ.

დღიური

ძალაქის რჩევის სხდომა.

* იეთი ხმოვანებიც კი იყვნენ გუშინდელს რჩევის სხდომაზედ, რომელნიც მთელი წლის განმავლობაში მგონი ერთხელაც არ ყოფილან; მიზეზი ის, რომ დღეს „საინტერესო სხდომას“ მოვლოდნენ.

და ამ საინტერესო საგანზე, ე. ი. გასული ორშაბათის სხდომის დახურვაზე, პირველადვე ჩამოვარდა სჯა.

ძალაქის თავმა უფ. დ. ი. შიფანმა სთქვა, რომ ერთს ხმოვანს უფ. ს. პ. პლადათოვს ორჯერ უთხარიო, რომ გაჩუმებულიყო, აღარ ელაპარაკა იმ საგანზე, რომელიც მე საკმაოდ განხილული მიმაჩნდა, თორემ კრებას დაეხურავო, მაგრამ არ დამემორჩილა, არ გამიგონაო და ამის გამო მე იძულებული შევიქნენო, რომ სხდომა დამხურა. ძანონი (საქალაქო წესდების § 69) ამ შემთხვევაში თხოულობსო, რომ უწყესობების მომხდენ წევრს კრებამ საყვედური (ვიგოვარი) გამოუტყუდოს და სამი დღიდან შეიდ დღემდინ კრებაში სიარული აუკრძალოსო. ბოხვით, ეს კანონი

ნი გადახდევინოთ უფ. ხმოვანს პლადათოვსაო.

ამ სიტყვის შემდეგ, უფ. ხმოვანმა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ ეს სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელდა.

პირველად ამოიღო ხმა უფ. ნ. ზუბალოვმა, მერე დიდ ხანს ილაპარაკეს ამ საგანზე უფ. მლიმიძემოვმა და მენაგულოვმა, აგრეთვე რეიტერმა, ბამგეობის ორმა წევრმა—ლოლუხანოვმა და მატინოვმა.

ყველა ხმოვანების საზოგადო ჰაზრი ის იყო, რომ, მართალია, საქმის გარემოება ისე იყო, როგორც უფ. თავსმჯდომარემ სთქვაო, მაგრამ ეს ისეთი დანაშაულობა არ იყო, არც ისეთი უწყესობაო, რომ ამისთვის უფ. პლადათოვს რაიმე სასჯელი მიეკუთვნათო. ჩვენს კრებებში ხშირად მომხდარა ამ გვარი გარემოება, ხშირად ყოფილა ბევრი და უსარგებლო ლაპარაკი, ერთისა-და-იმავე ჰაზრის განმეორება, მაგრამ ამისათვის კანონი არავისთვის არ გადაგვიხდევინებია; და ეს წარმოსდგება იმისგან, რომ ჩვენ არა ვართ ჯერ შეჩვეული ორატორობას, კრებებში ლაპარაკს, არ ვიცით კარგათ რუსული ენა და ერთის თქმით ვერ მოგვიხერხებია ჩვენი ჰაზრის გამოთქმაო და სხვ.

ბევრი ამგვარი ლაპარაკის შემდეგ, რომელიც ცხადი იყო უფ. თავსმჯდომარეს არ მოსწონდა, კრებამ მიიღო უფ. ხმოვანის მენაგულოვის შემდეგი წინადადება (გადასვლა მეორე საგანზე): „პრება მიიღებს მხედველობაში ერთის მხრით იმას, რომ თავსმჯდომარის უფლებამოსილებად და შეუტყვევლად უნდა იყოს

ფალტონი

თხილსიღვან ბათუხამდის

მშვენიერი, წყნარი გაზაფხულის დილა იყო, როდესაც ვაგონები დაიძრა თფსისის ვაგზალიდგან..

ვაგონში შემხვდა ერთი ნაცნობი, რომელთანაც ვაგებით სხვა და სხვა ამბავებზედ ბაასი. სხვათა შორის ჩამოვარდა სიტყვა ტატო წულუკიძის ღვინოლის მტენდირით დასეირნობაზედ. ჩემმა მებადაემ მითხრა:

— ის საცოდავი ორი ძმა შუხანოვები რა უბრალოდ დააღრჩეს? ნეტაი ვაცოდე ეხლა სუდიების სინიდისი რას იტყვის, როცა გაიგებენ, რომ პოლიციის სალდათის მკვლელები სხვანი ყოფილან...

მე ვკითხვი: — როგორ თუ სხვანი-მეთქი. — მსე სხვანი, რომ ეხლა ორნი ჩვენ შორში არიან დამწყვედვებული, ერთის გვარი ბველესიანია, მეორე კი სომეხია, თანაც გამოტყდნენ, რომ პოლიციის სალდათიც იმათ მოკლეს და სურამშიაც შემძლე კაცი რომ მოკლეს და გაცარცევს, ისინი ყოფილან...

— მსენი ყოფილან ოთხი: ერთი ტატო წულუკიძე, მეორე ბველესიანი, მესამე

და მეოთხე ავლაბრელი სომეხები, რომელთაც სახელი ვეღარ დავიხსოვებ. ამათში, ტატოს გარდა, ყველანი დამწყვედვებული არიან და გამოტყდნენ კიდევცა...

ამ ჩვენს ბაასში ჩაგვერია ერთი ყმაწვილი კაცი, რომელმაც იკოდა ზოგიერთი ამბები ტატო წულუკიძისა და აი რა გვიანბო:

— ის საცოდავი ტატო სულ უბრალოდ დაიღუპა. ის სწორედ მსხვერპლია ზოგიერთ უბერიო წესებისა. ტატო როცა ნორჩი იყო, გიმნაზიაში სწავლულობდა და კარგი ნიჭიანი მოცადინარე ყმაწვილიც იყო. მეოთხე კლასში რომ გადავიდა, მოუკვდა მწყალობელი, რომლის ხარჯზედაც იხდებოდა და რომელმაც ბევრი შრომა მიიღო ამის გიმნაზიაში მიცემისათვის, რადგან ტატო უკანონო შეილი იყო, რომელიღაც წულუკიძისა. მწყალობელის სიკვდილის შემდეგ ტატოს გზები დაეცა: გიმნაზიაში წლის ფულის შეტანის დრო მოვიდა და არავინ ჰყავდა ბატონი, რომ შეეტანა; თითონაც უსახლ-კარო, უძირო, მშვიერ-მწყურვალე ატარებდა დროს. ბოლოს გამორიცხეს ბიმნაზიიდან, რომ ვეღარას გზით ვერ მოახერხა ფულის შეტანა. რა ქნას საცოდავმა? აქეთ ვცა, იქით ვცა, ვერსაც საქმე ვერ იშოვნა. ამის უბედურობა კიდევ ის იყო, რომ მშვე-

ნიერი სახის ნორჩი იყო და ერთ-ორ ხელოსანთან რომ შავირდათ მივებარა, ნახა მითი უპატიოსნობა, ვერ შესძლო და გამოვიდა. დაიარებოდა ისე, მიფლეთილ-მოფლეთილი. ამის უსაქმობის დროს ალექსანდროვის ბაღში დამე ერთ კაცს დაეცნენ, თავპირი დაამტვრიეს და გაცარცევს. ხალხი რომ მოგროვდა, ამათში ტატოც ვერა; ამას ხელი სტაცა ამ გაცარცულმა: — აი ესეც ვერა, ამანაც გამცარცვაო! — და, რასაკვირველია, მაშინვე წააბძანეს იმ უმაღლეს ავაზაკების შკოლაში, რომელსაც „ვირების აბანოს“ ვეძახით. აქ ტატომ წელიწად-ნახევარი გაატარა ისეთ საზოგადოებაში და ისეთ პირებთან, რომელნიც ათჯერ კატორილიდან გამოქცეულან და იპოდენი კაცები დაუხოციათ, რომ თქვენ ქათმებიც არ დაგინოციათ. წელიწად-ნახევრის შემდეგ იპოდენს ის გამცარცვალები, რომელნიც გამოტყდნენ და გამოვდა, რომ ტატო სულ უმანკო იყო. ბანთავისუფლდა ტატო, მაგრამ ვაი ამისა განთავისუფლებას: ზნეობით სულ დამახინჯდა, გაბრაზდა და ავგული შეიქნა, რომ ამის გზა ასე დაეხლართა და ყველასგან დევნილი შეიქნა. ამბობდა: „ბანა ჩემი ბრალია, რომ უკანონო ვარ? ბანა ჩემი ბრალია, რომ საწყალი მამ რად მსდევნის ქვეყანა? აგერ და ენახათ, მინამ



დასული და მეორეს მხრით, რომ ხმოვანთ აქეთ უფლება იმ ზომამდინ ილაპარაკონ თავისუფლათ, რამდენსაც მათ საქალაქო წესდება ნებას აძლევს, — და გადადის შემდეგი საგნის განვილევნებად.

ამ წინადადების კრებისაგან ერთ-ხმად მიღებამ, როგორც ეტყობოდა, ძალიან გააცხარა უფ. თავსმჯდომარე, რომელმანც აღვლევბულის ხმით გამოუცხადა კრებას: „მე წინააღმდეგი ვარ თქვენი გარდაწყვეტილებისა და ამ გარემოებას უმალდეს მთავრობას მოვასხენებ!“

ამ სიტყვების შემდეგ თითქმის ყველა ხმოვანები გამოვიდნენ ზალიდამ და კარიდორში შეიქნა ერთი ჩოჩქოლი და ბასი... სხვა განსახილველი საკნებიც იყო, მაგრამ იმათთვის არავის მოუცლია — თითქმის ყველანი წავიდნენ.

* * * პეტერბურლის გაზეთებში იწერებოდა, რომ უმალდეს მთავრობას მოლაპარაკება აქეს ამ ქამად იმაზედ, რომ შოთი-სიფილისის რკინის გზიდან ბელათზე და ტყიბულზე რკინის გზის შტო გაიყვანოს ქვანახშირის საზიდავთათა.

* * * ბაზეთი „მზზორი“ გეაცნობებს, რომ იმ ბოროტ-მოქმედების თაობაზედ, რომელიც ჩაუდენიათ პირველს (თ. მამია ბურიელს) ბურიის დრუჟინაში, გასული ომიანობის დროს, გამოძიება ინიშნება.

* * * მუთასილად შემოგვიჩვიან ჩვენი გაზეთის ხელის-მომწერნი, რომ აღრე, მოდიოდა თუ არა რკინის გზით ფოჩტა

(მერვე საათის ნახევარზედ), ცოტა ხანს შენდგე ჩვენი ფოჩტის კარებს აღებდნენ და გაზეთებს იმ საღამოსვე გვადლევდნენო. მაგრამ ახლა კი, ჩვენი ფოჩტის ზედამხედველის განკარგულებით, ღამის მეთერთმეტე საათზე აღრე არ აღებენ ფოჩტას და ამნაირად იმ ღამეს თითქმის ვეღარ მიგვიღია ჩვენი გაზეთებიო.

მიგვიქცევია ამ გარემოებაზე ფოჩტის უწყების ყურადღება.

უცხო ქვეყნები

ინგლისი

უკანასკნელი ფოჩტით მოსულს უცხო ქვეყნის გაზეთებში დაბეჭდილია სტატიები იმ სიტყვის თაობაზე, რომელიც ლორდ-მერის (ლონდონის შალაქის თავის) სადილზე (ბანკეტზე) წარმოსთქვა ბიკანსტილმა. ამ სტატიებდამ სჩანს, ლორდ ბოკონსტილის სიტყვას თითქმის ყველა ინგლისის გაზეთებზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ბაზეთი „თაიმსი“ ამბობს, მაგალითად, რომ ლორდი ბიკონსტილი არ შესცდამოდა, როდესაც სთქვაო, რომ მთელი ინგლისის ხალხი მმართველობის მხარეს დაიჭერს, თუ რომელმამე სახელმწიფომ არ შეასრულა ბერლინის ტრაქტატის ყველა მუხლებიო. „ინგლისის არაოდეს არ დაფიწყდება, რომ ამ ტრაქტატზე იმის ხელი არის მოწერილი და ვერ მოითმენს, რომ ვინმე განიზრახოს იმის ინტერესების დარღვევა აღმოსავლეთში. ამ საგანში მთელი ინგლისი თავის

მმართველობას მისცემს მხარს.“ ასე ათავენს „თაიმსი“ ერთს თავის წინააღმდეგობრივ სიტას.

ავგანისტანი

რუსულ გაზეთს „ბოლოს“ ორენ-ბურლიდამ მოუვიდა ამბავი, რომ ავგანისტანის მძირი საჩქაროთ ამაგრებს თავის სამზღვრებს საინგლისო ინდოეთისკენ და ჯარებს აგროვებსო. ბანსაკუთრებით ბევრ ჯარებს გზავნიან ძანდალარში, საილამაც მოელოიან ინგლისის ჯარების თავდასხმასაო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, ავგანისტანის მძირი დარწმუნებული არის, რომ ინგლისთან ომს ვერ ასცდება, მაგრამ იმას თავის შეუვალ აღვილებსა და კარგი ცხენოსანი ჯარის იმედი აქვსო. ამას გარდა ავგანელებს იმის იმედიც აქვთო, რომ რუსები დენმარეზიან იმათ გამოცდილი აფიცრებით და საომარი მასალებითო.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პარიში, 5 ნოემბერს. დღეს მოვიდა აქ შევალავი.

ლვოვი, 5 ნოემბერს. ჭაკელსულის (ჩირალნით სიარულის) აღკრძალვის გამო, დეპუტატების პალატის რამდენთამე წევრთა დიდი უწყესობა მოახდინეს. იმათსა და პოლიციას შუა შეტაკება მოხდა; პოლიციამ იარაღი იხმარა. რამ-

პირში სული მიდგა და ტამარში სისხლი, ვეცდები დაგიმტკიცოთ, რომ მე ჭვეყნის ცოდვის შეილი ვარ და ჩემი ყველა ავი მოქმედება მისი ბრალი იქნება — და არა ჩემი! ამ სიტყვებით ტატო ჩავარდა ცხოვრების მდინარეში და მას აქეთ არის აღმა მიცურაშს...

ამასობაში მიუახლოვდით ხაშურს, სადაც კარგა დრო გექონდა შესვენებისა. აქ ჩემი მგბაასები გამომეთხოვნენ და დაგრჩი უცნობებში...

მალე შეუდგეთ სურამის აღმართებს. მინემ დაბინდებოდა, პლატფორმიდგან არ შეესულვარ ვაგონში, ისე გამიტაცა ბუნების მშვენიერებაში.

ღმერთო, რა მშვენიერი მხარეა ეს იმერთი! როგორ შემკული ბუნებით! და ამ სიმშვენიერეში რამდენი მხამი არის! რასაც ისიამოვნებ, ორი იმოდელას მისი წყალი და ჰაერი ამოგაშხამებს თავის ციებ-ცხელებით. აქაური ხალხიც ასეთია: სახით მშვენიერები, ენით ტკბილნი, ჭკუით განიერნი; მაგრამ გულით კი დაშხამულნი, და ჭკუა-გონებით ყველანი...

შოთში რომ მოველით ათი საათი სრულდებოდა. როგორც იყო მოენახე თავ-შესაფარი აღვილი ერთ სასტუმროში. მეორე დღეს მითხრეს, თუ ბილეთი არა გაქვსო, ბათუმში ვერ წახვალთ, არა

პარახოდი არ წაგიყვანსო და თუნდა წაგიყვანოს, იქ არ გაგიშვებენ ქალაქში შესვლასო.

მივმართე შოთის პოლიციმესტარს, უთხარ ჩემი ვინაობა, თანაც მის ნაცნობისაგან მქონდა ორიოდ სიტყვი დაბარებული, ისიც გადავეცი, რომ ამით უფრო დარწმუნებულიყო, რომ აღვილად შეიძლებოდა ბილეთის მოცემა; მაგრამ იმან ისე გამიხვიადა, რომ სწორედ დამალონა. მითხრა: ჩვენ მარტო შეგვიძლიანო შევამოწმოთ ბილეთი, ჩვენკი ვერ მიგცემთო როცა უთხარ, რომ ვინიცოდა ბილეთი დაუკარგამს მგზავრს, განა არ უნდა მისცეთ შემწეობა, თუ კი დარწმუნდებით მის ვინაობაში? ამაზე მარტო მხრები აიწია. ბოლოს წარუდგინე თავდებათ ერთი პატივცემული ჩემი ნაცნობი და ამ გზით ძლიერს მომეცა სამუალეება გამგზავრებასა...

მსეთი შემთხვევა რომ ყოფილიყო მეროპაში სადმე, იქ უფრო ზდილურად მოიქცეოდნენ: ერთ ორსაათ დროს დაუნიშნამდნენ, იმ დროში შეიტყობდნენ როგორც სასტუმროში, ისე ნაცნობებისაგან მის ვინაობას და რაკი დარწმუნდებოდნენ, რომ საექო კაცი არ არის, ყველი კანონიერ თხოვნას წამსვე აუსრულებდნენ.

იმ დღესვე შევიტყე, რომ მიდიოდა

სახელმწიფო პარახოდი „ბაბუშკა“. მთხოვე კაპიტანს, რომ წაეყვანე. დამინიშნა დრო საღამოს ექვს საათზე და გავემგზავრეთ კიდეცო.

მშვენაერი, მთვარიანი, წყნარი ღამე იყო, როცა ზღვაში მიეცურავდით.

ქვესი საათი მოგვიხდა შოთილიმ ბათუმამდის მისვლისათვის. მს ექვსი საათი ისე გაგვატარებინა კაპიტანმა, რომ თითქო ერთ საათშია მივფელით. მართლა და საკვირველი ზდილი და პატიოსანი ხალხია პარახოლების კაპიტნები. იაე მოხარულები არიან, როცა პასაჟირები ჰყავთ, თითქო კარგი საჩუქარი რამ მიეღოსთ.

მიველით თუ არა ბათუმში, მაშინვე ტამოქნის ჩინოენიკი გზაში გადმიდგა: თქვენი ბილეთიო? — თითქო სამზღვარ გარეთიდგან მოველი. უჩვენე ბილეთი და მაშინვე გზა მამცა...

მინემ შევიდოდით ბათუმში, ზღვიდგან მშვენიერი სანახავი რამ არის, მეტად ღამე, როცა მალაზიები, სახლები და გემები გაჩაღებულია და მათ სანათლე წყლიდგანაც ნათობს ხოლომე. ჩემის ბარგით მიმიყვანა ერთმა ლაშხა სასტუმროში, სადაც კარგი პატარა ოთახი ვიქირავე დღემი ერთ მანეთათ.

სტ. მე — ლი

(დასასრული შემდეგ №-ში)



დენივე კაცი დატუსაღეს; დაჭრილებიც არიან. ჯარებს ბრძანება მოუვიდათ, რომ ყაზარმებიდამ არ გამოვიდნენ.

რომი, 5 ნოემბერს. ხმა არის, როცა იტალიის კაროლი ნეაპოლიტანის ნეაპოლიდამ გამოდიოდა, ამ დროს ვიღამაც დანით დასჭრაო. შრილობა მსუბუქია. დამნაშავე დაიჭირეს.

ნეაპოლი, 6 ნოემბერს. იტალიის კაროლი ბუშმერტი მარცხენა ხელში დაჭრეს ხანჯალით; პირველი მინისტრი ძაიროლი მარცხენა გვერდშია დაჭრილი. ძაიროლი ხრმალი დაარტყა დამნაშავეს თავში, ძაიროლიმ თმებში სტაცა ხელი; ერთმა კერასირის კაპიტანმა ჯერ დასჭრა ის და მერე დაიჭირა და ყარაულებს გარდასცა.

ძაროლევა და ნეაპოლიტანის პრინცი, რომელნიც ერთს ეკიპაჟში ისხდნენ კაროლთან, სრულებით არ შეშინებულან.

დამნაშავეს ჰქვიან სახელად ჯიოვანო პასასპენტო; იმან გამოაცხადა, რომ მე არც ერთს საიღუმლო და აღკრძალულ საზოგადოებას არ ვეჭუთვნო; მხოლოდ მსურსო, რომ მეფეები არ არსებობდნენო.

პეტერბურლის ბირჟა, 6 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

| | |
|--|----------------|
| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
| პირველი გამოცემის — | 97—12 |
| მეორესი — — — — | 95—75 |
| მესამესი — — — — | 95—50 |
| მეოთხესი — — — — | 95—50 |
| აღმოსავლეთის — — | 92—1 |
| რქრო, 1/2 იმპერიალი — | 8—34 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — | — „ — |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. კაპ. |
| პირველი სესხის — — | 235—55 |
| მეორე სესხის — — | 229—55 |
| 1 მანეთი ლირს: | |
| ლონდონი — — — — | 23—19/32 პენსი |
| ამსტერდამი — — — — | 119—50 ცენტი |
| ერლინი — — — — | 201—50 პენსი |
| პარიჟი — — — — | 240—50 სანტიმი |
| ძავეკასის კერასინი — | 2—50 — |

განსხვავებანი

თფილისის გუბარნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება „გუბარნი-გელ მოსწავლეთა გუბარნიისათვის“ ემუშავება თფილისის გუბარნიის სახლს 10—12 ოთახს დიდის ეზოთი ან ბაღით. მისაც ჰსურს ამ გვარის სახლის გაქირავება. უნდა მიჰპართოს „საზოგადოების“ სეკრეტარს, **ბ. დ. მანანოვს**, სოლოლაკში, პონსულის ქუჩაზე, **№ 4.** (3—2)

მომავალ 1879 წლის იანვრიდამ გაზეთის „ივერიის“ მაგივრად გამოვა თფილისში მშრნალი ივერია

- შემდეგის პროგრამით:
 - I. სამართავლოს მათიანე:** განხილვა თვე-და-თვე ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენის საზოგადოების მომდინარე ცხოვრებას და მთავრობითს წარმოებას.
 - II. საპოლიტიკო მიმოსილვა:** განხილვა თვე-და-თვე საზოგადო პოლიტიკისა და აგრეთვე უცხო ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადოების მომდინარე ცხოვრებისა.
 - III. რუსეთის მათიანე:** დრო გამოშვებით განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შეეხება აწინდელ რუსეთის სახელმწიფოს წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებას.
 - IV. ბელმტრისტია:** მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.
 - V. კრიტიკა.**
 - VI. ბიგლიოზრაფიული ცნობები:** მოკლე განხილვა შესახებ ახალ წიგნებისა.
 - VII. ცალკე წიგნილები:** შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა და აგრეთვე შესახებ ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრებისა, წარსულისა და აწინდელისა.
 - VIII. კორამსკონდენსიები:** შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნისა.

„ივერია“ გამოვა თვეში ერთხელ, თეზო წიგნი შეიცავს თორმეტის თაბახის არა ნაკლებ ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, „ივერიის“ რედაქციაში, სოლოლაკში, პონსულის ქუჩაზე, **№ 4.** აგრეთვე **ბ. ჩარკვიანის** წიგნის მაღაზიაში, ძაშუეთის ეკლესიის ქვემოდად. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის: **Въ Тифлисъ, въ редакцію журнала „ИВЕРІА“.**

| | | |
|---|-----------------------------------|------------|
| „ივერიის“ ფასი—წელიწადში: | თფილისში მცხოვრებთათვის | 11 მან. |
| | გარეშე მცხოვრებთათვის | 12 მან. |
| მქვს თეთ: თფილისში მცხოვრებთათვის | | 5 და 50 კ. |
| | გარეშე მცხოვრებთათვის | 6 და 50 კ. |

ზაზეთი „ივერია“ დეკემბერში აღარ გამოვა. ხელის მომწერლებს ამ ნომრების მაგივრად დაურიდებათ იანვარში პირველი წიგნი ჟურნალისა. ამის გამო აწინდელ ხელის მომწერლებთათვის ჟურნალის ფასი 1879 წ. იქნება 11 მან.—გარეშე მცხოვრებთათვის და 10 მან.—თფილისში მცხოვრებთათვის. (3—1)

გე ვკისრულობ
 1, გამგეობას თფილისში და მისივე უფლებში:
 ა, იმ თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა ობლებს ქონებათა, რომელნიც არიან ოპეკაში და ოპეკუნის განკარგულებათა ქვეშე;
 ბ, იმ მამულთა, რომელნიც ეკუთვნიან რაოდენთავე პირთა მემკვიდრეობით და
 გ, იმ მამულთა, რომელნიც ეკუთვნიან კერძოთა პირთა და არ არიან მასში შონაწილენი სხვანი.
 2, შედგენასა საპეკუნო ან გარიშები-სასა სხვა და სხვა წლებისა წარსადგენელად სადაც ჯერ არს, მოუთხოვნელად შეპირებულის სასყიდლისა ვიდრე დამტკიცებამდე იმ ანგარიშებისა, და
 3, ძიებასა მემკვიდრეობაზედ და სხე.—მე ვცხოვრებ თფილისში, სახელოსნო სასამართლოს უკან, თავადი შალიკოვის სახლების რიგზედ, საეკლესიო სახლებში, ნომერი სახლისა **№ 16** და ვიმყოფები სახლში 7 ვიდრე 9-ს დილისა და სადილის შემდეგ 3 საათიდგან ვიდრე 6 საათამდის. (2—2)

თფილისის ვაჭარი ივანე ნიკოლოზოვი უცხადებს თფილისის და სხვა ქალაქების პატრონან საზოგადოებას, რომ გვიყიდნია მეროპიის ქალაქებიდან 200 ცალი საკერავი მაშინები, ასე იგი: დიდრონი წაღების საკერავი მაშინები, ბალკონიანი პარტნოის ბელაშვიების, რუჩნოისა—ორი ძაფიანი, ერთი ძაფიანი; სისტემა ტეეტონისა, მანსჭელისა, მილდერ, მილსონის, ზინგერის, მედიუმის, პოლოაკ შმიტისა, ლურჯი პრიოლი, სილსონის.
ხელის მაშინები, სისტემა: ბრუნინია, ბერმანია, რენანია, ჩორტუნა, ზინგერი, საქსონია და ლიტერვანცერი, შატულა, სამსინია, მესპრეს-ორიგინალი პრინცესა და მილდერ მილსონის კაქლის ყუთიანი.
 იყიდება ძალიან იაფათ და პირობით იძლევა, ვიდრე სამის წლის ვადითა.
მასწავლით კერვას და მაშინების მოხმარებას მაღაზიაში **უშულოთა**.
 მაღაზია იპოვება შუაბაზარში, მასპაროვის ლუქნებში.
ივანე ნიკოლოზოვი. (3—2)